# დამთავრდა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3"-ის ფრენა

1968 წლის 30 ოქტომბერს 10 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3", რომელსაც მართავდა კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი გიორგი ტიმოთეს ძე ბერეგოვოი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში. კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3"-ის ისევე, როგორც ხომალდ „სოიუზ-2"-ის დაშვება ორბიტიდან იყო მართული, აეროდინამიკური თვისების გამოყენებით.

დედამიწაზე დაშვების შემდეგ გიორგი ტიმოთეს ძე ბერეგოვოი თავს კარგად გრძნობს. დაშვების ადგილზე მას დახვდნენ მეგობრები და კორესპონდენტები.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3"-ის ფრენა გრძელდებოდა ოთხ დღე-ღამეს. მეცნიერული და ტექნიკური კვლევის პროგრამა, რომელსაც აწარმოებდა კოსმონავტი მფრინავი გიორგი ტიმოთეს ძე ბერეგოვოი, წარმატებით შესრულდა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 215 (3699)

31 1968 წ. ოქტომბერი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.


## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთი ჩემპიონატი -68



### გუშინ...

შედგა მორიგი ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელები კიევში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს. მასპინძლებს 1 ქულაც ჰყოფნიდათ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდების ზედიზედ მესამედ მოპოვებისთვის. მათ მიზანს მიაღწიეს — შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ქუთაისის ტორპედოელებს მატჩი ჰქონდათ მინსკში, ადგილობრივ „დინამოსთან", გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:0.

შედგა ტურის სხვა შეხვედრებიც:

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიროვაბადი) 6:1

„კაირატი" — „ზარია" 2:0

„პახტაკორი" — „შახტიორი" 2:2

„ჩერნომორეცი" — „არარატი" 1:0

„ზენიტი" — ასკ (როსტოვი) 0:1

„კრილია სოვეტოვი"—„ლოკომოტივი" 0:0

I „ა" ჯგუფი



ტალინელმა ძალოსანმა ი. ტალტსმა (ქვემძიმე წონა) და მოსკოველმა ტანმოვარჯიშე მ. ვორონინმა მეხიკოშიც დაამტკიცეს, რომ ისინი სამართლიანად ითვლებიან მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა რიგებში. მართალია, მრავალჭიდში ერთმაც და მეორემაც ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ ტალტსმა ოლიმპიურ ფიცარნაგზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში, ხოლო ვორონინმა ოქროს მედლები მოიხვეჭა ბჯენით ხტომებსა და ძელზე ვარჯიშში, ვერცხლი — ორძელსა და რგოლებზე, ბრინჯაო — ტაიჭზე.

სურათებზე: ი. ტალტსი (მარცხნივ) და მ. ვორონინი.

ფოტო ე. ვოლკოვისა.



●


XIX ოლიმპიური თამაშების საგოლოო ცხრილი იხ. მე-4 გვ.


# გვეწვიეთ, მეგობრებო!

10 ნოემბერს გორში სტარტს აიღებს ვ. ქარსელაძის მემორიალი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან სსრ კავშირისა და საქართველოს ცნობილი მოჭადრაკეები. ტურნირი სპორტული სამყაროს დიდ ინტერესს იწვევს.

ამას წინათ „ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს შ. ბერიანიძეს და ესაუბრა მას.

— მემორიალი გამოჩენილი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი პატივისცემის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ამ თავდადებულმა მოღვაწემ საქართველოს ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე აღუზარდა, რომლებიც დღეს საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავენ, — თქვა შ. ბერიანიძემ. — მემორიალი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ ქარსელაძის მეგობრები და აღზრდილები. რა თქმა უნდა, ტურნირს სილამაზეს შემატებს გამოჩენილი დიდოსტატებისა და ოსტატების მონაწილეობა.

საასპარეზოდ მოწვეული არიან დიდოსტატები მ. ტალი, ლ. შტეინი, ე. გელერი, ე. გუფელდი, მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელები — დიდოსტატი ა. გიპსლისი და საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი, სომხეთის ჩემპიონი, ოსტატი ლ. გრიგორიანი, აზერბაიჯანის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი და ჩვენი მოჭადრაკეები — საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე, ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი, თ. გიორგაძე, ა. ბოკუჩავა, ი. ჩიქოვანი, თ. ლომაია და ე. უბილავა. ამ ოსტატებიდან პირველი ოთხი ქარსელაძის აღზრდილია.

გორის საზოგადოებრიობა ინტერესით ხვდება მემორიალს. იგი ჩვენს ქალაქში პირველი დიდი საჭადრაკო ტურნირი იქნება. შეჯიბრების სანიმუშოდ ჩასატარებლად შევქმენით საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც გორის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ხინჩიკაშვილი ჩაუდგა სათავეში. კომიტეტი კარგა ხანია შეუდგა მუშაობას.

10 ნოემბერს გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საზეიმოდ გავხსნით მემორიალს, 11 ნოემბერს კი შედგება I ტური.

მოჭადრაკეები იცხოვრებენ სასტუმრო „ქართლში". ვეცდებით მემორიალის მონაწილეებს კარგი პირობები შევუქმნათ შემოქმედებითი ბრძოლისთვის.

გორის საწარმო-დაწესებულებებმა, სასწავლებლებმა გადაწყვიტეს დააწესონ საგანგებო პრიზები.

დამსწრეებს საშუალება ექნებათ ბრძოლას თვალი ადევნონ სადემონსტრაციო დაფების მიხედვით. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დიდოსტატებისა და ოსტატების საკონკურსო სეანსებში. ტურნირის ყოველი მონაწილე ჩაატარებს ერთდროული თამაშის სეანსს 20 დაფაზე. ის, ვინც სეანსს ნაკლებ დროს მოანდომებს და კარგ შედეგს მიაღწევს, საგანგებო ჯილდოს მიიღებს. დაჯილდოვდებიან ის მოყვარულებიც, რომლებიც წარმატებით ითამაშებენ დიდოსტატებისა და ოსტატთა წინააღმდეგ. მოეწყობა ლექციები, საუბრები, საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამომხსნელთა კონკურსები.

მემორიალის დღეებში ალბათ ბევრი სტუმარი გვეყოლება. საორგანიზაციო კომიტეტი მათ შესახვედრადაც ემზადება. ერთი სიტყვით, საჭადრაკო დღესასწაული გორში თითქმის მთელ თვეს გაგრძელდება. თქვენც გიწვევთ, მეგობრებო!

„ლელო" ინფორმაციას

## ჰოკეისტების საათი...

◆ ჟენევა, 30 ოქტომბერი. ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგის აღმასკომის აქ გამართული სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის (სტოკჰოლმი) კალენდარი „ა" კლასის გუნდებისთვის: 15 მარტი. სსრ კავშირი — აშშ, ჩეხოსლოვაკია — კანადა, შვეცია — ფინეთი; 16. სსრ კავშირი — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — აშშ, კანადა — ფინეთი; 17 მარტი დასვენების დღეა. 18. სსრ კავშირი — კანადა, ჩეხოსლოვაკია — ფინეთი, შვეცია — აშშ; 19. სსრ კავშირი — ფინეთი, ჩეხოსლოვაკია — შვეცია; 20. კანადა—აშშ; 21. სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია, კანადა — შვეცია; 22. ფინეთი — აშშ; 23. სსრ კავშირი — აშშ, ჩეხოსლოვაკია— კანადა, შვეცია — ფინეთი; 24. სსრ კავშირი — შვეცია; 25. ჩეხოსლოვაკია — ფინეთი, კანადა—აშშ; 26. სსრ კავშირი — ფინეთი, ჩეხოსლოვაკია—აშშ; 27. კანადა — შვეცია; 28. სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია; 29. კანადა — ფინეთი, შვეცია — აშშ; 30. სსრ კავშირი — კანადა, ჩეხოსლოვაკია — შვეცია, ფინეთი — აშშ.

◆ ჰელსინკი, 30 ოქტომბერი. მწვრთნელის მაკლეოდის ხელმძღვანელობით აქ ჩამოვიდა კანადის ჰოკეისტთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ბევრი ცნობილი მოთამაშეა: მეკარე სტივენსონი, მცველი ბეგი, თავდამსხმელები ჰაკი, მოტი, ჰარგრივსი, მაკმილანი და სხვ. კანადელები ფინეთის ნაკრებს ორჯერ შეხვდებიან, შემდეგ კი ოთხჯერ გამოვლენ შვეციაში და ორჯერ — ნორვეგიაში.

### გუშინ...

სოჭის სტადიონზე გაიმართა „იმედის თასის" VI საკავშირო გათამაშების გადამწყვეტი მატჩი რსფსრ-სა და საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამ მატჩს უნდა გამოევლინა საპატიო თასის მფლობელი. მთელი შეხვედრა ქართველი ფეხბურთელების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მაყურებლები და ფეხბურთის სპეციალისტები მაღალტექნიკური, კომბინაციური და მიზანდასახული თამაშით მოხიბლეს. ნაყოფიც თვალსაჩინო იყო — 4:1 საქართველოს ნაკრების (უფროსი მწვრთნელი ა. ვარდიაშვილი, მწვრთნელი ვ. შახნაზაროვი) სასარგებლოდ. გოლების ავტორები არიან: მელაძე, კვანტალიანი (2) და ყიფიანი. შეხვედრის მიწურულს 11-მეტრიანი დარტყმით ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა მანტაევმა.

## ახალგაზრდული

ხვალინდელო დღე, გათენდი ადრე!
დღევანდელ დღეში ვეღარ ვეტევით,
ხომ ხედავ ფიცხი ნაბიჯის დარტყმით
როგორ შევძარით კონტინენტები!

ხომ გრძნობ, რა ცეცხლის ჩანჩქერად მივქრით,
ცისიერს ჩვენი ფრთა დავაზომეთ,
ჩვენ გადავშალეთ ვარსკვლავთა წიგნი,
უკვე ვკითხულობთ მირველ ასოებს,

უკვე დავძარით სივრცე ქანებად,
კვლავ სხვა ფურცლები გადაიშლება,
ჩვენ ახლა გვინდა აგრიალება,
აქარიშხლება!
აქარიშხლება!

წინ, სულო!
გაჰკარ! გასხლტი! გაენთე!
სამყაროს ჭერში შეიფრთხიალე,
ვაშა გრძელებს და
ვაშა განედებს,
ვაშა სიმაღლის მერიდიანებს!

ზ. ფეთიაშვილი.

MEXICO 68 MEXICO 68 MEXICO 68 MEXICO 68

# ოლიმპიადის ცეცხლი

## ტანვარჯიში

### პირადი პირველობა ცალკეულ იარაღებზე (ვაჟები)

**თავისუფალი ვარჯიში**

1. ს. კატო (იაპონია) — 19,475
2. ა. ნაკაიამა (იაპონია) — 19,4
3. ტ. კატო (იაპონია) — 19,275
4. მ. ცუკახარა (იაპონია) — 19,05
5. ვ. კარასიოვი (სსრ კავშირი) — 18,95
6. ე. კენმოტო (იაპონია) — 18,925

**ტაიჭი**

1. მ. ცერარი (იუგოსლავია) — 19,325
2. ო. ლაიჰო (ფინეთი) — 19,225
3. მ. ვორონინი (სსრ კავშირი) — 19,2
4. ვ. კუბიცა (პოლონეთი) — 19,15
5. კენმოტო — 18,05
6. ვ. კლიმენკო (სსრ კავშირი) — 18,95

**რგოლები**

1. ნაკაიამა — 19,45
2. ვორონინი — 19,325
3. ს. კატო — 19,225
4. ცუკახარა — 19,125
5. ტ. კატო — 19,05
6. ს. დიომიდოვი (სსრ კავშირი) — 18,975

**ბჯენითი ხტომები**

1. ვორონინი — 19,0
2. ი. ენდო (იაპონია) — 18,95
3. დიომიდოვი — 18,925
4. ტ. კატო — 18,775
5. ნაკაიამა — 18,725
6. კენმოტო — 18,65

**ორძელი**

1. ნაკაიამა — 19,475
2. ვორონინი — 19,425
3. კლიმენკო — 19,225
4. ტ. კატო — 19,2
5. კენმოტო — 19,175
6. ვ. კუბიჩკა (ჩეხოსლოვაკია) — 18,95

**ძელი**

1. ვორონინი და ნაკაიამა — 19,55-19,55
3. კენმოტო — 19,375
4. კ. კიოსტე (გდრ) — 19,225
5. დიომიდოვი — 19,15
6. ენდო — 19,025

## კრივი

**პირველი უმჩატესი წონა**

1. ფ. როდრიგესი (ვენესუელა)
2. კონგ ე ლე (სამხრეთ კორეა)
3-4. ჰ. მარბლეი (აშშ) და ხ. სკშიპჩაკი (პოლონეთი)

**მეორე უმჩატესი**

1. რ. დელგადო (მექსიკა)
2. ა. ოლეხი (პოლონეთი)
3-4. ს. დე ოლივეირა (ბრაზილია) და ლ. რვაბვო (უგანდა)

**მჩატე**

1. ვ. სოკოლოვი (სსრ კავშირი)
2. ე. მუკვანგა (უგანდა)
3-4. ე. მორიოკა (იაპონია) და სუნ კილ ჩანი (სამხრეთ კორეა)

**ქვემსუბუქი**

1. ა. როლდანი (მექსიკა)
2. ვერცხლის მედალი არ გადაეცა ამერიკელ ა. რობინსონს, რადგან ეგი დისკვალიფიცირებულ იქნა.
3-4. ფ. ვარუინგი (კენია) და ი. მიხაილოვი (ბულგარეთი)

**მსუბუქი**

1. რ. ჰარისი (აშშ)
2. ი. გრუძენი (პოლონეთი)
3-4. პ. კუტოვი (რუმინეთი) და ზ. ვიჟინი (იუგოსლავია)

**პირველი ქვესაშუალო**

1. ე. კულეი (პოლონეთი)
2. ე. რეგეიფეროსი (კუბა)
3-4. ა. ნილსონი (ფინეთი) და ჯ. უოლინგტონი (აშშ)

**მეორე ქვესაშუალო**

1. მ. ვოლკე (გდრ)
2. ჟ. ბესალა (კამერუნი)
3-4. ვ. მუსალიმოვი (სსრ კავშირი) და მ. გილოტი (არგენტინა)

**პირველი საშუალო**

1. ბ. ლაგუტინი (სსრ კავშირი)
2. რ. გარბეი (კუბა)
3-4. ჯ. ბელდუინი (აშშ) და გ. მაიერი (გფრ)

**მეორე საშუალო**

1. კ. ფინეგანი (ინგლისი)
2. ა. კისელიოვი (სსრ კავშირი)
3-4. ა. სარაგოსა (მექსიკა) და ა. ჯონსი (აშშ)

**ქვემძიმე**

1. დ. პოზნიაკი (სსრ კავშირი)
2. ი. მონეა (რუმინეთი)
3-4. გ. სტანკოვი (ბულგარეთი) და ს. დრაგანი (პოლონეთი)

**მძიმე**

1. ჯ. ფორმენი (აშშ)
2. ი. ჩეპულისი (სსრ კავშირი)
3-4. ჯ. ბამბინი (იტალია) და ი. როჩა (მექსიკა)

## კლასიკური ჭიდაობა

**უმჩატესი წონა**

1. პ. კიროვი (ბულგარეთი)
2. ვ. ბაკულინი (სსრ კავშირი)
3. მ. ზემანი (ჩეხოსლოვაკია)
4. ი. ალკერი (უნგრეთი)
5. რ. ლაკური (გფრ)
6. ი. ვესტერინენი (ფინეთი)

**მჩატე**

1. ი. ვარგა (უნგრეთი)
2. ი. ბაჩუ (რუმინეთი)
3. ი. კოჩერგინი (სსრ კავშირი)
4. ო. მოსკიდისი (საბერძნეთი)
5. კ. საკურამა (იაპონია)
6. ტ. ოზკანი (თურქეთი)

**ქვემსუბუქი**

1. რ. რურუა (სსრ კავშირი)
2. ხ. ფუძიოტო (იაპონია)
3. ს. პოპესკუ (რუმინეთი)
4. დ. გალინიჩევი (ბულგარეთი)
5. ჰ. ალაკოჩი (თურქეთი)
6. მ. ლააკსო (ფინეთი)

**მსუბუქი**

1. მ. მუნემურა (იაპონია)
2. ს. ხორვატი (იუგოსლავია)
3. პ. გალაქტოპულოსი (საბერძნეთი)
4. კ. როსტი (გფრ)
5. ე. ტაპიო (ფინეთი)
6-7. ვ. ჰოლცერი (აშშ) და გ. საპუნოვი (სსრ კავშირი)

**ქვესაშუალო**

1. რ. ვესპერი (გდრ)
2. დ. რობენი (საფრანგეთი)
3. კ. ბაიკო (უნგრეთი)
4. მ. ზარევი (ბულგარეთი)
5. ი. ცარანუ (რუმინეთი)
6. ი. კარსტრომი (შვეცია)

**საშუალო**

1. ლ. მეცი (გდრ)
2. ვ. ოლენიკი (სსრ კავშირი)
3. ბ. სიმიჩი (იუგოსლავია)
4. ნ. ნეგუში (რუმინეთი)
5-6. უ. ბოიმენი (აშშ) და პ. კრუმოვი (ბულგარეთი)

**ქვემძიმე**

1. ბ. რადევი (ბულგარეთი)
2. ნ. იაკოვენკო (სსრ კავშირი)
3. ნ. მარტინესკუ (რუმინეთი)
4. პ. სვენსონი (შვეცია)
5. ტ. ჰემი (ნორვეგია)

6-7-8. კ. მალბერგი (ფინეთი), პ. იუცელერი (შვეიცარია), ვ. ორლოვსკი (პოლონეთი)

**მძიმე**

1. ი. კოზმა (უნგრეთი)
2. ა. როშჩინი (სსრ კავშირი)
3. პ. კმენტი (ჩეხოსლოვაკია)
4. რ. სვენსონი (შვეცია)
5. კ. ბუსოი (რუმინეთი)
6. ს. პეტროვი (ბულგარეთი)

## ფრენბურთი

**ქალები**

1. სსრ კავშირი
2. იაპონია
3. პოლონეთი
4. პერუ
5. სამხრეთ კორეა
6. ჩეხოსლოვაკია

**ვაჟები**

1. სსრ კავშირი
2. იაპონია
3. ჩეხოსლოვაკია
4. გდრ
5. პოლონეთი
6. ბულგარეთი

## წყალბურთი

1. იუგოსლავია
2. სსრ კავშირი
3. უნგრეთი
4. იტალია
5. აშშ
6. გდრ

## ბალახის ჰოკეი

1. პაკისტანი
2. ავსტრალია
3. ინდოეთი
4. გფრ
5. ჰოლანდია
6. ესპანეთი

## ფეხბურთი

1. უნგრეთი
2. ბულგარეთი
3. იაპონია
4. მექსიკა

## ცხენოსნობა

ეროვნებათა პრიზი წინაღობათა გადალახვაში. გუნდური შეჯიბრება.

1. კანადა (ტ. გეიფორდი, დ. დეი, დ. ელერი) — 102,75 საჯარიმო ქულა
2. საფრანგეთი — 110,50
3. გფრ — 117,25
4. აშშ — 117,50
5. იტალია — 129,25
6. შვეიცარია — 136,75...

12. სსრ კავშირი (ვ. მატვეევი, ე. კუზინი, გ. სამოსედენკო) — 280,50

---

## საქართველოს სპორტკავშირში

# მღივნის შეცდომა და... გაუქმებული შედეგი

16 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოს კალათბურთელთა წლევანდელი პირველობის დასკვნითი ტურის შეხვედრა „სინათლისა" და „ცისარტყელას" ვაჟთა გუნდებს შორის. მატჩის მე-7 წუთზე შეჯიბრების მდივანმა ა. სარუხანოვმა ოქმში შეცდომით ჩაუწერა „ცისარტყელას" გუნდს 2 ქულა.

ამ საკითხზე გუშინ იმსჯელა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს ბიურომ, სადაც აღინიშნა, რომ შეჯიბრების მთავარმა მსაჯთა კოლეგიამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური სამდივნო აპარატის შერჩევა და ასპარეზობის მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება. სარუხანოვის ზემოხსენებული შეცდომის გამო მატჩის შედეგი გაუქმდა.

ბიურომ გადაწყვიტა შეჯიბრების მდივანს ა. სარუხანოვს მიეცეს დისკვალიფიკაცია 3 წლით, ხოლო გათამაშების მთავარ მსაჯს, საქართველოს სპორტკავშირის მთავარ მწვრთნელს კალათბურთში ვ. ჯაფარიძეს საქართველოს პირველობის მსვლელობაში დაშვებული შეცდომებისთვის გამოეცხადოს საყვედური.

ითქვა, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ და რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ რესპუბლიკური მნიშვნელობის შეჯიბრებებს და იზრუნონ ამ ასპარეზობათა მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ბიურომ გადაწყვიტა, რომ საქართველოს კალათბურთელთა წლევანდელი პირველობის დასკვნითი ტურის ხელმეორე შეხვედრა „სინათლისა" და „ცისარტყელას" ვაჟთა გუნდებს შორის გაიმართოს 1 ნოემბერს ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში.

---

## რაიონებში [illegible]

### გორი

აქ დიდ პატივს სცემენ ცნობილი ფალავნების ფარნაოზ ჩიკვილაძისა და ნოდარ ყაჩმაზაშვილის ხსოვნას. ყოველწლიურად შემოდგომით ტარდება აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წლეულს ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდა 33 სპორტსმენი. გაიმარჯვა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. თანდილოვმა.

**ი. თევდორაშვილი.**

### გულრიფში

რაიონის საფეხბურთო პირველობაში 15 გუნდი მონაწილეობდა. კოდორის ხე-ტყის გადასამუშავებელი კომბინატის, სოფ. მაჭარის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფ. დრანდის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და რაიონის ჩემპიონის გამოსავლინებლად საჭირო გახდა დამატებითი შეჯიბრების ჩატარება მათ შორის. აქ წარმატება წილად ხვდათ კოდორელ ფეხბურთელებს. მომდევნო ადგილებზე არიან მაჭრისა და დრანდის გუნდები.

**შ. ჯალალონია.**

### გურჯაანი

გაიმართა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. გაიმარჯვეს გურჯაანის ღვინის ქარხნის წარმომადგენლებმა (მეთოდისტი მ. მაილოვი). II ადგილზე გავიდნენ ბავშვთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები, III — ბაკურციხის კოლმეურნეობის სპორტსმენები.

**ი. ოდიშელიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უოლიმპიელებოდ





## ვარაუდი არ გამართლდა

ამას წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ვ. სანეევი, ი. დელა-როსა, გ. გუდაშვილი და ლ. იევლევა იმ დროს მეხიკოში იყვნენ, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ შინ დარჩენილნიც მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ.

სამწუხაროდ, ვარაუდი არ გამართლდა. შეჯიბრებას საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრმა თავი აარიდა, ხოლო მონაწილეთა უმეტესობა დუნედ, მოუნდომებლად, თითქოს ვალის მოსახდელად ასპარეზობდა. ამან, რა თქმა უნდა, ნაყოფიც შესაფერი მოგვცა: პროგრამის 35 სახეობაში მხოლოდ სამმა სპორტსმენმა აჩვენა ოსტატის შედეგი, ერთმა კი ოსტატობის კანდიდატისა. ორ სახეობაში (200 და 800 მეტრზე ქალთა რბენაში) გამარჯვებულები III თანრიგის ნორმატივსაც ძლივს შესწვდნენ (!).

ტურნირმა ცხადყო, რომ სპორტსაზოგადოებების საბჭოები რესპუბლიკურ ჩემპიონატს გულგრილად მოეკიდნენ და ვერ მიაღწიეს, რომ მათ სპორტსმენებს მაღალი შედეგებისთვის ებრძოლათ (ჩემპიონატში „ბურევესტნიკის“ (2), „დინამოს“, „კოლმეურნის“, „განთიადის“, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები, „შრომითი რეზერვებისა“ და ასკ-ს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ).

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების შემდეგ საერთოდ შეიმჩნევა საქართველოს მძლეოსანთა მაჩვენებლების გაუარესება. სპორტსმენები ფორმის შენარჩუნებისთვის არ ზრუნავენ და მხოლოდ მორიგი სპარტაკიადის მოახლოებისას ცდილობენ მის აღდგენას, რასაც, რა თქმა უნდა, ცუდი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

აქვე უნდა ითქვას: ოლიმპიელ მძლეოსანთა შემცვლელი რესპუბლიკაში არავინაა: სამხტომში, ბადროს ტყორცნაში, 80 მეტრზე თარჯრბენსა და სპორტულ სიარულში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც კი ვერავინ აჩვენა. ჯერჯერობით არც სხვა სახეობებში ჩანან ნიჭიერი ათლეტები. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ მდგომარეობის გამოსწორებისთვის აქედანვე თუ არ იზრუნა, ჩვენი რესპუბლიკის გუნდი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში გუნდურ ჩათვლაში უხეიროდ გამოვა.

ერთადერთი, რამაც მძლეოსნობის გულშემატკივრები გაახარა, იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნ. ლობჟანიძის აღსაზრდელის, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ციალა ლიპარტელიანის („კოლმეურნე“) მაჩვენებელი შუბის ტყორცნაში. ციალამ საქართველოს ქალთა შორის ამ სახეობაში პირველმა მოიპოვა სპორტის ოსტატობა. ამასთან, მისი შედეგი — 51,58 მეტრი — საქართველოს ახალი რეკორდია და 1,61 მეტრით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას.

ლიპარტელიანს მხარი აუბა სპორტის ოსტატმა მ. ოყროშიძემ („ბურევესტნიკი“ I), რომელმაც თავის ძირითად სახეობაში — ბირთვის კვრაში ოსტატის შედეგი (17,21) აჩვენა, ბადროს ტყორცნაში კი I თანრიგისა (46,34) და ორივეგან ჩემპიონობა დაისაკუთრა. კარგად გამოვიდნენ ათჭიდში ოსტატის შედეგით გამარჯვებული, დინამოელი ლ. გუგეშაშვილი (6828 ქულა) და შუბის მტყორცნელ ვაჟებში უძლიერესი ლ. აროშიძე („კოლმეურნე“), რომელმაც ამას წინათ თბილისის ჩემპიონატში პირველად შეასრულა ოსტატის ნორმატივი, ახლა კი საქართველოს ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრა. აროშიძე ნიჭიერი, ფიზიკურად კარგად განვითარებული, შესანიშნავი რეაქციის მქონე მძლეოსანია. მისი მწვრთნელის ლობჟანიძის აზრით, ამ სპორტსმენისგან უახლოეს ორ-სამ წელიწადში საერთაშორისო კლასის შედეგს უნდა ველოდეთ. ამას, ალბათ, ხელს ისიც შეუწყობს, რომ აროშიძე საქართველოს რეკორდსმენთან კ. გორძამაშვილთან ერთად ვარჯიშობს. ძლიერთა მეტოქეობას კი მუდამ მაღალი შედეგი მოსდევს.

ადრე საქართველოში საშუალო და გრძელ მანძილებზე მხოლოდ თითოოროლა ძლიერი მორბენალი თუ გვყავდა და ვერც ბოლო ხანებში გამოიჩინა ვინმემ თავი. თუ ამას გავითვალისწინებთ, წლევანდელი ჩემპიონატის პრიზიორებს ვერაფერს დავემდურებით — მათი მაჩვენებლები ერთგვარი წინსვლაა. მაგალითად, დინამოელ ვ. მაირომიანს 1500 მეტრზე, ხოლო ნ. დავიდენკოს 5000 მეტრზე რბენაში რამდენიმე წამიღა უკლდათ სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგამდე.

სამაგიეროდ, თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები ი. კოზელსკი („დინამო“), შ. ართმელაძე („კოლმეურნე“), ნ. საგანელიძე, ლ. ნანიევი (ორივე — „განთიადი“), ლ. დარახველიძე („სპარტაკი“), რომლებმაც ამ შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატის შედეგებიც კი ვერ აჩვენეს. განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ კოზელსკის — სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „ბურევესტნიკი“ I — 49973 ქულა, 2. „დინამო“ — 44896, 3. „სპარტაკი“ — 20700. ამ შედეგების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ერთ დროს უძლიერესმა „დინამომ“ პოზიციები დათმო, ხოლო სხვა საზოგადოებები სათანადო მეტოქეობას ჯერ კიდევ ვერ უწევენ ლიდერებს.

**ო. გელაშვილი.**

* * *

### ტექნიკური შედეგები

**ქალები. რბენა. 100 მ.** ნ. ლომიძე („ბურევესტნიკი“ I) — 12,4, ვ. იახშიანი (პირადი) — 12,5, დ. სუბოტინა („ბურევესტნიკი“ I, პირადი) — 12,6; **200 მ.** ნ. მაიოროვა („დინამო“) — 27,1, სუბოტინა („ბურევესტნიკი“ I) — 27,4, ნ. ონუფრიენკო („ლოკომოტივი“) — 28,5; **400 მ.** ლ. კორკოტაძე („ბურევესტნიკი“ I) — 1.00,4, რ. დემჩენკო („სპარტაკი“) — 1.03,3, ლ. არალოვა („დინამო“) — 1.04,2; **800 მ.** დემჩენკო — 2.28,8; არალოვა—2.30,5; **ესტაფეტა 4×100 მ.** „ბურევესტნიკი“ I (ლომიძე, სუბოტინა, თ. ეპიფანოვა, ლ. შუმილინა) — 50,8, „დინამო“ — 52,8, „ლოკომოტივი“—53,7; **80 მ თარჯრბენი.** რ. ჩუბინიძე (პირადი) — 12,1, თ. რეფერტი (ორივე — „ლოკომოტივი“) — 12,3, ეპიფანოვა — 12,5; **სიმაღლეზე ხტომა.** ლ. ილიუშინა („დინამო“) — 150, ჯ. ჩუბინიძე („სპარტაკი“, პირადი) — 145, ვ. ფედოსენკოვა („დინამო“)—145; **სიგრძეზე ხტომა.** შუმილინა — 521, ლ. გუკი („ბურევესტნიკი“ I) — 510, ეპიფანოვა — 508; **ბადრო.** ლ. ტუღუში („დინამო“) — 47,04, ც. ჯაფარიძე („კოლმეურნე“) — 45,12, ვ. კომაროვა („ბურევესტნიკი“ I) — 41,48; **შუბი.** ც. ლიპარტელიანი („კოლმეურნე“) — 51,58 (საქართველოს რეკორდი), ს. პოპოვა („დინამო“) — 44.20, დ. საბაური („ბურევესტნიკი“ I) — 43,35; **ბირთვი.** მ. თათარაშვილი („დინამო“) — 13,70, ტუღუში — 13,04, გ. ბერაია („ბურევესტნიკი“ I) — 11,94; **ხუთჭიდი.** ს. მარჩენკო („განთიადი“) — 3.817 ქულა, ფედოსენკოვა („დინამო“) — 3656, ი. პოპოვა („დინამო“) — 3655.

**ვაჟები. რბენა. 100 მ.** გ. სტეპანოვი („სპარტაკი“, პირადი) — 10,8, ტ. ბახტაძე („ლოკომოტივი“) — 10,9, ე. გაბარაევი („ბურევესტნიკი“ I) — 11,0; **200 მ.** ა. მოშიაშვილი („დინამო“) — 22,5, სტეპანოვი — 22,7, ა. ანტონოვი („დინამო“) — 22,8; **400 მ.** გ. შოშიაშვილი („ბურევესტნიკი“ II) — 51,8, ბ. ასათიანი („ბურევესტნიკი“ I) — 52,0, შ. ჯაბიშვილი („სპარტაკი“) — 52,3; **800 მ.** ვ. მაირომიანი („დინამო“) — 1.53,7, ი. ლოგუნოვი — 1.54,0, ი. სოვეტკინი (ორივე — „ბურევესტნიკი“ I) — 1.56,1; **1500 მ.** მაირომიანი — 3.55,7, ლოგუნოვი — 3.57,4, სოვეტკინი — 4.01,1; **5000 მ.** ნ. დავიდენკო („ბურევესტნიკი“ I) — 14.46,0; ვ. სიმონოვი — 14.58,9, ი. მიხაილჩენკო (ორივე — „კოლმეურნე“) — 15.09,8; **10000 მ.** ა. კურზანოვი (ასკ, პირადი)—31.02,4, სიმონოვი — 31.02,8. მიხაილჩენკო — 31.55,6; **ესტაფეტა 4×100 მ.** „კოლმეურნე“ (რ. ბუკია, ი. პრიმინი, ჯ. სხულუხია, ო. სიხარულიძე) — 43.4, „ბურევესტნიკი“ I— 44,2, „ბურევესტნიკი“ II — 44,8; **4×400 მ.** „ბურევესტნიკი“ I (ლოგუნოვი, ი. ცანავა, ასათიანი, ვ. ტექშტრემი) — 3.28,0, „დინამო“ — 3.28,7, „ბურევესტნიკი“ II — 3.28,9; **თარჯრბენი. 110 მ.** მოშიაშვილი — 14,9, ი. დიაჩკოვი („დინამო“) — 14,9, ვ. პავლოვი (ასკ, პირადი) — 15,8; **200 მ.** ი. კოზელსკი („დინამო“) — 24,5, პავლოვი — 26,3, სხულუხია — 26,6; **400 მ.** კოზელსკი — 55,4, ო. კობჩიკი („განთიადი“) — 59,0, ა. ალექსეევი („სპარტაკი“) — 59,9; **3000 მ წინაღობებით.** ცანავა — 9.14,0, დავიდენკო — 9.23,8, ა. მიქოიანი („ბურევესტნიკი“ II)— 9.57,0; **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. პოპოვი („შრომითი რეზერვები“, პირადი) — 195, შ. ართმელაძე („კოლმეურნე“), პ. კრასნოვი („ბურევესტნიკი“ I), ნ. საგანელიძე („განთიადი“), ო. ჩაზუნაშვილი („დინამო“)—ყველა—190; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ჩუკანოვი („ბურევესტნიკი“ I) — 721, რ. ჩუბინიძე — 706, ლ. დარახველიძე (ორივე — „სპარტაკი“) — 689; **სამხტომი.** დარახველიძე — 15,01, ვ. სალაკაევი („სპარტაკი“, პირადი) — 14,71, ა. ჩერნიშოვი („სპარტაკი“) — 14,61; **ჭოკით ხტომა.** ლ. გუგეშაშვილი („დინამო“) — 410, ნ. ჩიკუშკინი („სპარტაკი“) — 380, ა. ვიბლიანი („დინამო“) — 380; **ბადრო.** მ. ოყროშიძე („ბურევესტნიკი“ I) — 46,34, ვ. ტარანი („განთიადი“) — 46,22, ნ. ნაზლაიძე („ბურევესტნიკი“, პირადი) — 41,50; **შუბი.** ლ. აროშიძე („კოლმეურნე“) — 71,26, კ. გორძამაშვილი („დინამო“) — 68,16, ლ. ნანიევი („განთიადი“) — 67,82; **ურო.** ო. ოდიშვილი („ბურევესტნიკი“ I) — 56,12, ო. ართილაყვა („ლოკომოტივი“) — 55,62. ი. ფხაკაძე („დინამო“) — 55,46; **ბირთვი.** ოყროშიძე — 17,21, დიაჩკოვი — 15,02, ვ. მაისურაძე („ბურევესტნიკი“ I) — 14,98; **ათჭიდი.** გუგეშაშვილი — 6828 ქულა, მ. ტუღუში („ბურევესტნიკი“ I) — 6047, ვიბლიანი — 5883; **20 კმ სპორტული სიარული.** რ. გოგეშვილი („სპარტაკი“) — 1:44.03,6, თ. მაკიევი („ბურევესტნიკი“ I) — 1:46.58,6, ვ. პავლოვი („განთიადი“) — 1:48.47,0.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — ო. ოდიშვილი, მარჯვნივ — ვ. ჩუკანოვი ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.

**მძლეოსნობა**

მიმდინარეობს პროფკავშირების სპარტაკიადები

## თერთმეტის მაგიერ — ექვს სახეობაში

ამას წინათ თბილისში გაიმართა სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივების სპარტაკიადა, რომელშიც მხოლოდ თბილისის 8 კოლექტივი გამოვიდა. ტურნირში ჩაებნენ № 1 საავეჯო კომბინატის („განთიადი“), 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4, გრეხილი ავეჯისა და ქაღალდის ფაბრიკების, ფორფიცრის ქარხნისა და ექსპერიმენტული საწარმოს ფიზკულტურელები.

სპარტაკიადის პროგრამაში 11 სახეობა შედიოდა. იმის გამო, რომ ზოგიერთში მონაწილეთა გამოყვანა ვერავინ შეძლო, საბოლოოდ ეს რიცხვი ექვსამდე დავიდა.

ყველას აჯობა საავეჯო კომბინატის გუნდმა, რომელმაც მოიგო მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი, ფრენბურთსა და ცურვაში კი II ადგილები დაიკავა.

**შ. ისაკაძე.**

## „შეხვედრები უინტერესო იყო, გუნდების მომზადება—დაბალი“

გორელთა გუნდის საერთო კრების ოქმში ვკითხულობთ: „გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური სპორტსმენთა აღრიცხვის ბარათში შეტანით კალათბურთელებს ვ. იმერლიშვილსა და რ. ლუკაშვილს“.

რამ გამოიწვია ასეთი სასჯელი?

გორისა და ბათუმის გუნდების შეხვედრაში ზემოდასახელებული სპორტსმენები გამომწვევად, უხეშად იქცეოდნენ, მოედანზე ბილწსიტყვაობდნენ. მსაჯმა ისინი მხოლოდ 2-2 ტექნიკური საჯარიმოთი დასაჯა იმის მაგიერ, რომ სარბიელიდან გაეძევებინა.

ეს შემთხვევა ერთადერთი რომ ყოფილიყო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადაში, მასზე იქნებ არც ღირდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ იყო. იგივე გამეორდა თბილისისა და მახარაძის ხელბურთელთა შეხვედრაშიც.

მთელ რიგ სახეობებში გუნდები სუსტად იყვნენ მომზადებული. ფრენბურთში, სადაც გამარჯვებისთვის 10 კოლექტივი იბრძოდა, დამაკმაყოფილებელ შედეგებს მხოლოდ თბილისის ვაჟთა და ქალთა, აჭარის ვაჟთა და გორის ქალთა გუნდებმა მიაღწიეს. „სხვა გუნდების შეხვედრები უინტერესო იყო, გუნდების მომზადება — დაბალი“, — ვკითხულობთ ამ სახეობის უფროსი მსაჯის მიერ შედგენილ ანგარიშში.

თბილისის გუნდში გამოდიოდნენ მოთამაშე-მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ლ. ვარდიაშვილი, გამოცდილი პირველთანრიგოსნები დ. კიბიზოვა, გ. ქლენტი და სხვები, რომლებმაც ყველა მეტოქე ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს და ჩემპიონობა დაისაკუთრეს. ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა აჭარის ვაჟთა გუნდსაც, რომლის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს 30 წლის სპორტსმენებმა მ. ლორიამ, ზ. ფაღავამ და 15 წლის ვ. ნეჭკომ.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის კოლექტივი, რომელმაც მოუგო ქუთაისის (75:56), აჭარის (56:52), გორის (58:41) წარმომადგენლებს. სამაგიეროდ, ქალთა ტურნირში თავი ისახელეს გორელებმა, რომლებმაც ფინალური შეხვედრის პირველი ნახევარი წააგეს, მაგრამ თბილისელებს მაინც არ დაუთმეს ჩემპიონობა.

ცურვა და მძლეოსნობა ქუთაისელებმა მოიგეს. მძლეოსანთა ტურნირში 55 სპორტსმენი ასპარეზობდა, მათგან უმეტესობამ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი, მაგრამ ქალები მაინც სუსტად იყვნენ მომზადებული. მაგალითად, გორელმა ტ. სოლოვიოვამ 800 მეტრის გარბენას 3.06,2 მოანდომა. ამასთან მან ერთადერთმა დაამთავრა დისტანცია.

ველოსპორტსა და ხელბურთში თბილისის გუნდები პირველობდნენ. ფეხბურთელთა ტურნირში მასპინძლებმა— თბილისელმა სპორტსმენებმა ჯერ აჭარის გუნდს მოუგეს (2:1), შემდეგ გორის კოლექტივი (8:2) დაამარცხეს და ჩემპიონის წოდება დაისაკუთრეს.

სპარტაკიადის პროგრამის 7 სახეობის ჯამში უძლიერესი თბილისის კოლექტივი აღმოჩნდა.

**ვ. ბუკინი.**

* *



**სურათზე:** 1500 მეტრზე რბენის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

## რაიონში მოწინავე

ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში 700-ზე მეტი ფიზკულტურელია გაერთიანებული სპორტის 11 სახეობის სექციებში. ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო ტურნირები და სპარტაკიადები. ახლახან დამთავრდა კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 6 სახეობა შედიოდა. ყველას აჯობა მთავარი მექანიკური განყოფილების კოლექტივმა. მაგიდის ჩოგბურთელთა პირად ტურნირში 40 სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველობა დაისაკუთრა თ. ჯავახიამ.

ხალიჩის მქსოველები ყველა რაიონული ტურნირის აქტიური მონაწილენიც არიან და ხშირად გამარჯვებულნი გამოდიან.

სექციების, გუნდების კარგმა მუშაობამ აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ფიზკულტურულ კოლექტივს კი საშუალება მისცა გადაჭარბებით გაენაღდებინა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები.

**ე. ბუზუნავა.**
**(ჩვენი კორ.).**

ცხაკაია.




# მედლები და ქულები

| | ო. | ვ. | ბ. | IV | V | VI | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 45 | 27 | 34 | 27 | 14 | 18 | 710 |
| სსრ კავშირი | 29 | 32 | 30 | 22 | 15 | 17 | 592 |
| გდრ | 9 | 9 | 7 | 15 | 20 | 16 | 236 |
| უნგრეთი | 11 | 9 | 12 | 4 | 6 | 2 | 196 |
| იაპონია | 11 | 7 | 7 | 8 | 11 | 5 | 189,5 |
| გფრ | 5 | 10 | 10 | 8 | 9 | 14 | 180,5 |
| ავსტრალია | 5 | 7 | 5 | 11 | 4 | 8 | 139 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 11 | 5 | 8 | 6 | 125,3 |
| საფრანგეთი | 7 | 3 | 4 | 4 | 7 | 6 | 112 |
| ინგლისი | 5 | 5 | 3 | 5 | 8 | 4 | 107 |
| ჩეხოსლოვაკია | 7 | 2 | 4 | 5 | 3 | 8 | 102,5 |
| იტალია | 3 | 4 | 9 | 4 | 5 | 4 | 102,5 |
| რუმინეთი | 3 | 6 | 5 | 5 | 3 | 1 | 92,5 |
| მექსიკა | 3 | 3 | 3 | 5 | 3 | 3 | 71 |
| ბულგარეთი | 2 | 4 | 3 | 4 | 2 | 5 | 66 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 1 | 3 | 2 | 5 | 60 |
| კანადა | 1 | 3 | 1 | 5 | 4 | 5 | 54 |
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 4 | 6 | 5 | 52 |
| კენია | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 48,5 |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 2 | 47,5 |
| დანია | 1 | 4 | 3 | 2 | 0 | 0 | 45 |
| ფინეთი | 1 | 2 | 1 | 0 | 4 | 4 | 32,8 |
| ირანი | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 2 | 32 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 29,3 |
| კუბა | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 0 | 25 |
| ავსტრია | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 23 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 | 1 | 2 | 1 | 22 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 19 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 18 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 18 |
| მონღოლეთი | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 18 |
| ეთიოპია | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 15 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 1 | 3 | 1 | 0 | 15 |
| სამხრეთ კორეა | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 0 | 14,5 |
| ტუნისი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 11 |
| ბელგია | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 10 |
| უგანდა | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 8,5 |
| იამაიკა | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 |
| პერუ | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 8 |
| არგენტინა | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 7 |
| პაკისტანი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 |
| ვენესუელა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 6 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 6 |
| კამერუნი | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ტაივანი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| სენეგალი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ესპანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 |
| ჩილი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |
| ბაჰამის კუნძულები | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| პუერტო-რიკო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |

შენიშვნა: ო. — ოქრო, ვ. — ვერცხლი, ბ. — ბრინჯაო, IV, V, VI — ადგილები, ქ. — ქულები.

# სმისლოვის შვიდი გამარჯვება

ლუგანო, 30 ოქტომბერი. საჭადრაკო ოლიმპიადაში საუცხოოდ გამოდის საბჭოთა დიდოსტატი ვ. სმისლოვი. სსრ კავშირ — რუმინეთის მატჩში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ფარ-ხმალი დააყრევინა ოსტატ უნგურეანუს. ეს სმისლოვის მეშვიდე გამარჯვებაა.

ვ. კორჩნოიმ დაამარცხა ვ. ჩოკილტია. ფ. გეორგიუ — ტ. პეტროსიანისა და ტ. გიცესკუ — ლ. პოლუგაევსკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა.

წარმატებით თამაშობენ ბულგარეთის წარმომადგენლებიც. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან ძნელ მატჩში ისინი დაწინაურდნენ — 2:1 (გ. ტრინგოვმა მოუგო ლ. ევანსს, ხოლო ს. რეშევსკისა და მ. ბობოცოვის პარტია ყაიმით დამთავრდა).

მთავარი ფინალური ტურნირის V ტურის სხვა შედეგები ასეთია: იუგოსლავია — კანადა 2,5:1,5, უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია 2:0 (2 პარტია გადადებულია), პოლონეთი — გფრ 1,5:1,5 (1), არგენტინა — ფილიპინები 2,5:1,5, გდრ — დანია 1:1 (2).

ადრე გადადებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები მოგვცა: სსრ კავშირი — უნგრეთი 2:1 (ბ. სპასკი, — ლ. პორტიში 0,5:0,5, ლ. პოლუგაევსკის შეხვედრა ლ. ლენდიელთან ხელმეორედ გადაიდო), იუგოსლავია — გფრ 2:2, ფილიპინები — აშშ 2:2, არგენტინა — კანადა 3:1, დანია — პოლონეთი 2:1 (1 პარტია კვლავ გადაიდო).

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: სსრ კავშირი — 15 ქულა (1 გადადებული პარტია), იუგოსლავია — 13, ბულგარეთი — 11,5 (1), აშშ — 11 (1), არგენტინა — 11, გფრ — 10,5 (1).

VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ეთამაშებიან ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს.

# საქართველოს ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სულორი“ (ვანი) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში. რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ, მე-20 წუთზე, „სულორის“ კარი აღებულ იქნა (დოლიძე). მეორე ტაიმში სტუმრების დაცვისა და მეკარის შეცდომის შემდეგ მანჯგალაძემ ანგარიში აიყვანა 2:0-მდე. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე შეძლეს ვანელებმა საპასუხო გოლის გატანა, რომლის ავტორი იყო ჯანელიძე.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ისანი“ (თბილისი) 5:2. მსაჯი ცინცაძე (ჩოხატაური).

● „არაგვი“ (მცხეთა) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 0:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

პირველ ნახევარში სიღნაღელმა ასათიანმა გაიტანა ბურთი „არაგვის“ კარში და მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს უპირატესობა ჰქონდათ შემდგომშიც, ანგარიში აღარ შეცვლილა.

● „აერო“ (გალი) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 1:1. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

● ასკ (თბილისი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია, თუმცა ორივე გუნდი მაღალ ტემპში, მონდომებით იბრძოდა წარმატებისთვის. შესვენების შემდეგ არმიელთა თავდამსხმელმა ლობჟევმა კარგად გამოიყენა მოპირდაპირე გუნდის დაცვაში დაშვებული შეცდომა და გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

● „სამცხე“ (აწყური) — „სინათლე“ (თბილისი) 2:0. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

მცირე ტერიტორიულ უპირატესობას, რომელიც თბილისელებს ჰქონდათ პირველი 45 წუთის განმავლობაში, შედეგი არ მოჰყოლია. შემდგომში აწყურელებმა გამოასწორეს მდგომარეობა და თამაში მეტოქის მხარეს გადაიტანეს. ჯერ გელაძემ, ხოლო შემდეგ სუხიაშვილმა ორჯერ აიღეს „სინათლის“ კარი, რომელსაც ამჯერად სუსტად იცავდა მეკარე გუგუშვილი.

● „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ გუნდებს განსხვავებული ადგილები უკავიათ გათამაშების ცხრილში, მატჩი დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ანგარიში 59-ე წუთზე გახსნა ბათუმელთა თავდამსხმელმა მუჯირმა. სულ მალე იგივე მუჯირი პირისპირ დარჩა „კოლხეთის“ მეკარესთან, მაგრამ ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის საუკეთესო შესაძლებლობა. მე-80 წუთზე ესებუამ და ქაჩიბაიამ კარგად გაითამაშეს თავისუფალი დარტყმა და ამ უკანასკნელმა გაათანაბრა ანგარიში.

● „სპარტაკი“ (ბორჯომი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).

სტუდენტები თავიდანვე აქტიურ იერიშზე გადავიდნენ, რის შედეგადაც აფხაზავამ, კალაძემ და გოგუაძემ 3 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. მატჩის დასასრულს მასლოვსკიმ შეძლო ერთადერთი გოლის გაქვითვა. კარგად იმსაჯა გუდაძემ.

* * *

მოგვყავს გამოტოვებულ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 5:2, „სამცხე“ (აწყური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0, „ისანი“ (თბილისი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 1:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 0:1, „მშენებელი“ (სიღნაღი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:0, ასკ (თბილისი) — „სამცხე“ (აწყური) 3:1, „სულორი“ (ვანი) — „სინათლე“ (თბილისი) 2:1. თბილისის „ისანს“ გამარჯვება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან“.

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„თრიალეთი“ (წალკა) — „ელმავალმშენი“ (თბილისი) 0:0, „შრომითი რეზერვები“ (გარდაბანი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 5:3, „ელმავალმშენი“ (თბილისი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 5:1, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 2:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ვარძია“ (ასპინძა) 5:1.

### II ზონა

„კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „განახლება“ (ადიგენი) 1:0, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) 1:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 4:0.

• • •

ზონალური პირველობის ფინალურ მატჩში თბილისის „აერომ“ დაამარცხა ლაგოდეხის გუნდი — 1:0.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 29 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 37 | 21 | 9 | 7 | 63—25 | 51 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 36 | 20 | 11 | 5 | 63—28 | 51 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 35 | 18 | 12 | 5 | 61—31 | 48 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 35 | 15 | 15 | 5 | 43—24 | 45 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 37 | 16 | 11 | 10 | 55—53 | 43 |
| „სულორი“ (ვანი) | 38 | 17 | 8 | 13 | 46—35 | 42 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 32 | 17 | 7 | 8 | 42—25 | 41 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 37 | 15 | 11 | 11 | 44—41 | 41 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 37 | 14 | 12 | 11 | 48—39 | 40 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 37 | 12 | 13 | 12 | 54—41 | 37 |
| „აერო“ (გალი) | 37 | 12 | 13 | 12 | 39—42 | 37 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 36 | 13 | 9 | 14 | 36—49 | 35 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 37 | 13 | 8 | 16 | 48—57 | 34 |
| „ლაითური“ (მახარაძის რ-ნი) | 37 | 11 | 11 | 15 | 31—33 | 33 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 37 | 12 | 7 | 18 | 35—53 | 31 |
| „ისანი“ (თბილისი) | 36 | 11 | 8 | 17 | 29—44 | 30 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 37 | 8 | 13 | 16 | 31—47 | 29 |
| „სამცხე“ (აწყური) | 34 | 9 | 10 | 15 | 38—43 | 28 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 34 | 9 | 7 | 18 | 34—51 | 25 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 35 | 7 | 11 | 17 | 24—44 | 25 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 34 | 8 | 8 | 18 | 30—54 | 24 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 37 | 8 | 5 | 24 | 25—54 | 21 |

ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


# გამოიწერეთ 1969 წლისთვის!




## ქარგი მეგზური

ყოველ ხუთშაბათ დილას „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში იყიდება ყოველკვირეული „პროგრამა რადიო ი ტელევიდენია“.

თავის ორმოც გვერდში ყოველკვირეული წინასწარ გვიამბობს ეთერის პრემიერებზე, საუკეთესო სპექტაკლებსა და ფილმებზე, კონცერტებსა და პუბლიცისტურ გამოსვლებზე. იგი გვიამბობს ქვეყნის ყველა რესპუბლიკის და, რა თქმა უნდა, საქართველოს ცხოვრებაზე, აქვეყნებს საინტერესო ფოტოსურათებსა და ფოტორეპორტაჟებს.

ჟურნალი დაგეხმარებათ თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის ყველაზე საინტერესო გადაცემების ამორჩევაში. იგი მარტო გზამკვლევი როდია, ერთგვარი ცნობარიცაა. იგი შენიშვნებითა თუ ნარკვევებით ამდიდრებს მასალას, რომელსაც თქვენ ეთერში ნახავთ ან მოისმენთ. სწორედ ესაა ჟურნალის თავისებურება. ყოველკვირეული აქვეყნებს მოთხრობებს, ლექსებს, ტელე და რადიოსცენარების ნაწყვეტებს, იუმორესკებს, საბავშვო ზღაპრებს. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდება ბევრი საინტერესო კომენტარი სხვადასხვა დარგის მრავალ საკითხზე, მასალები საერთაშორისო პრობლემებზე, პოლიტიკაზე, თეატრზე, კინოზე, მუსიკასა და სპორტზე, დაიბეჭდება ტანვარჯიშის ყველა რადიო და ტელეკომპლექსი.

1969 წლისთვის ამ ჟურნალის გამოწერა კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებაში შეიძლება. ერთი ნომრის ფასია 6 კაპ., ერთი წლით ხელმოწერის ფასი — 3 მან. 12 კაპ. ჟურნალ-გაზეთების კატალოგში „პროგრამა რადიო ი ტელევიდენიას“ ინდექსია 70746 (424-ე გვ.).


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04302